პირადი ინფორმაცია:

დაიბადა 1984 წლის 08 სექტემბერს, ქ. ოზურგეთში.

განათლება:

2001 წელს დაამთავრა ქ. ოზურგეთის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №4 საშუალო სკოლა;

2006 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

2006 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კურსი და ტესტური გამოცდის შედეგად მიენიჭა სერტიფიკატი;

2007 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით;

2010 წელს ჩააბარა პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა;

2010 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;

2012 წელს გაიმარჯვა ,,American Councils''-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მონაწილეობდა საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ ადმინისტრირებულ პროგრამაში ,,Open World'' ამერიკის შეერთებულ შტატებში - ვაშინგტონსა და ატლანტაში იურიდიულ სფეროში ამერიკული გამოცდილების მისაღებად;

2012 წლიდან არის ,,Hall, Booth, Smith P.C'' იურიდიული ფირმისა და ატლანტის სამართლებრივი საზოგადოების საპატიო წევრი;

2014 წლის იანვრიდან - 2018 წლის 18 იანვრამდე იყო დ. მეტრეველის სამედიცინო ცენტრის ეთიკის კომისიის წევრი;

2016 წლის დეკემბერში იმყოფებოდა გერმანიაში ქ. ჰამბურგში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.

2017 წლის აპრილში იმყოფებოდა საფრანგეთში ქ. სტრასბურგში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.

2018 წელს, USAID/PROLOG-ის დაფინანსებით მივლინებული იყო ნევადას შტატის ქალაქ რენოში მდებარე მოსამართლეთა ეროვნულ სკოლაში (The National Judicial College), სადაც გაიარა სწავლება თემაზე „ლიდერობა მოსამართლეთათვის".

2019 წელს მივლინებული იყო ესპანეთში, ბარსელონაში სამოსამართლო სკოლაში (Judicial School of Spain) იურიდიული ენის ტრენინგზე - ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში (Legal language training in cooperation in civil matters), EU Twinning-ის დაფინანსებით.

სამუშაო გამოცდილება:

2005-2006 წლებში გაიარა სტაჟირება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატაში;

2007 წლის 22 მაისიდან - 2008 წლის თებერვლის ჩათვლით გაიარა სტაჟირება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში;

2008 წელს მონაწილეობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და USAID -ის ერთობლივ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზების გამოკვლევას;

2008 წლის 29 თებერვლიდან - 2014 წლის 11 თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოს კონსულტანტის თანამდებობაზე;

2014 წლის 11 თებერვლიდან - 2018 წლის 18 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე;

2014 წლის იანვრიდან - 2018 წლის 18 იანვრამდე იყო დ. მეტრეველის სამედიცინო ცენტრის ეთიკის კომისიის წევრი;

2016 წლის 21 ნოემბრიდან - 2017 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №1/24 გადაწყვეტილებით გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 2018 წლის 18 იანვრიდან.